საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ყოველთვიური ონლაინ გამოცემა

ინფოველი

აგვისტო/2026

იმერეთში გავრცელებული ვაზის ადგილობრივი საღვინე ჯიშები 2

5 საქართველოს ტყის ნაირსახეობები

8 ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი სარეველა მცენარეები



6 გრუცელოზი - რისკები და პრევენცია

9 რატომ არ უნდა მოვკრიფოთ მცენარეები ეროვნულ პარკებში?

3-4 ნადირობის სეზონი დაიწყო

7 ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა



10 ბიომრავალფეროვნება
გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის ოთხ წარმომადგენელს

იმერეთში გავრცელებული ვაზის ადგილობრივი საღვინე ჯიშები

იმერეთი მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი მეტად საინტერესო და გამორჩეული რეგიონია. სამეცნიერო ლიტერატურის (საქართველოს ამპელოგრაფია - ნ. კეცხოველი, დ. ტაბიძე, მ. რამიშვილი, 1960) თანახმად, იმერეთის რეგიონს მიეკუთვნება ვაზის ადგილობრივი 85 ავტოქთონური ჯიში. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, იმერეთის მევენახეობა-მეღვინეობის ზონაში უპირატესად გამოკვეთილია ვაზის შემდეგი წამყვანი ჯიშები:

კუნძა სინონიმი: კუმსი

კუნძა მაღალი ხარისხის საღვინე ვაზის ჯიშია, ღვინო გამოირჩევა კარგად გამოხატული ჯიშური არომატით და სასიამოვნო მჟავიანობით. სახელწოდება „კუნძა“, „კუმსი“ ჯიშს მიღებული აქვს მტევნების მეტად კუმსი აგებულების გამო.

ოცხანური საფერე

ოცხანური საფერე მაღალი ხარისხის საღვინე ვაზის ჯიშია. გამოიყენება ინტენსიურად შეფერილი წითელი ღვინის დასამზადებლად. ღვინო გამოირჩევა ჰარმონიულობით, კარგად გამოსახული ჯიშისთვის დამახასიათებელი არომატით და დაძველების მაღალი პოტენციალით.

ძელშავი

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ჯიშის დასახელების შემადგენელი სიტყვა „ძელი“ დაახლოებით ჩვ.წ. VI საუკუნემდე ფეხზე მდგომ მოუჭრელ ხეს ნიშნავდა, ხოლო „შავი“ ვაზის ერთწლიანი რქების მოყავისფრო შეფერვის მახასიათებელი უნდა ყოფილიყო. შემდგომ პერიოდში, „ძელი“ მოჭრილი ხის გამომხატველი სიტყვა გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძელშავი, ერთ-ერთ უძველეს, სავარაუდოდ VI საუკუნეზე უფრო ადრინდელ ჯიშად უნდა იქნას მიჩნეული.

მგალობლიშვილი

მგალობლიშვილი საღვინე მიმართულების ვაზის ჯიშია. თანამედროვე სამეცნიერო კვლევების (Sargolzaei et al., 2021) თანახმად მგალობლიშვილი შეფასებული იქნა მევენახეებისათვის კარგად ცნობილი სოკოვანი დაავადების - ჭრაქის (Plasmopara viticola) მიმართ მაღალი გამძლების ჯიშად.

ინფორმაციის წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო

სეზონი დაიწყო

ნუ დაარღვევ ნადირობის წესებს!

22 აგვისტოს, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი გაიხსნა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, სეზონის განმავლობაში გამკაცრებულ კონტროლს განახორციელებს.

რა უნდა ვიცოდეთ ნადირობის დაწყებამდე

ნადირობის დაწყებამდე გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველმა აუცილებლად უნდა გადაიხადოს გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელი. მოსაკრებლის თანხის ერთჯერადად გადახდის შემდეგ, მონადირეს უფლება აქვს ინადიროს სეზონის დასრულებამდე - 1 მარტამდე. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220 101 222, ანგარიშის ნომერი: №200122900, ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი: 3033.

ნადირობისას, მონადირემ თან უნდა იქონიოს შსს-ს ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სად არის აკრძალული ნადირობა?

ნადირობა აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ადგილებში, მათ შორის: საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში, ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე, ასევე, სახელმწიფო ნაკრძალების გარშემო 500-მეტრიან და ეროვნული პარკების გარშემო 250-მეტრიან ზონებში; სამინისტროს სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მართვაში/სარგებლობაში არსებულ საშენი მეურნეობების ფართობებზე.

ნადირობისათვის დაშვებული იარაღები

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ ნადირობა დაშვებულია მხოლოდ იარაღის იმ ტიპებით რომელიც მითითებულია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში, კერძოდ: სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან (თოფი), სანადირო ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან (კარაბინი ან შაშხანა), სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან (ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი თოფი), სანადირო ცივი და ცივი სასროლი იარაღიდან და სანადირო პნევმატური იარაღიდან.

ინფორმაციის წყარო: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ნადირობისათვის აკრძალული საშუალებები

გასათვალისწინებელია ასევე მეთოდები, რომლებიც არა მხოლოდ სეზონის, არამედ მთელი წლის განმავლობაშია აკრძალული. მაგალითად: მცენარეული საფარის დაწვა; გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა; ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა ან განადგურება; ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით – კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით, ხაფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით, სარეგვავებით (სარეჯგველებით), ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა, საწამლავით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება; ნადირობა ან /და ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლეტიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან, მათ შორის, ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით; სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ხანძარი, დიდი თოვლი და სხვა) დროს დაუძლურებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს.

როგორია ჯარიმები

ბრაკონიერს, უკანონო ნადირობაზე, სამართალდარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, სხვადასხვა ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს. მინიმალური ჯარიმა 150 ლარია და რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, სამართალდამრღვევს 3 000 ლარის გადახდაც დაეკისროს. ამასთანავე, ნადირობის წესების დარღვევისას ხდება მოპოვებული ობიექტის, სანადირო იარაღისა და მოწყობილობის კონფისკაცია. გარდა ამისა, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა პირს სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება 1-3 წლის ვადით ჩამოერთვას.

ასევე საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ ჯარიმასთან ერთად სამართალდამრღვევს დაეკისრება უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტის შესაბამისად გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხა. თუ ზიანის ოდენობა აღემატება 2000 ლარს, საქმე კვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მიმართონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს - 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა დეპარტამენტის შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს.

ინფორმაციის წყარო: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

იცოდე, რატომ არის საქართველოს ტყე უნიკალური

საქართველოს ტყის ნაირსახეობები

გაგაცნობთ, საქართველოს ტყის ნაირსახეობებს რეგიონების მიხედვით

ქვემო ქართლის ტყეები

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი და ბუნებრივად მრავალფეროვანი რეგიონია, სადაც ლანდშაფტი მკვეთრად იცვლება. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებულია მშრალი, ნახევრადუდაბნოს ტიპის ველები, ხოლო ჩრდილოეთითა და დასავლეთით ტერიტორია თანდათან გადადის პლატოებსა და ტყიან მასივებში. მტკვრის, ხრამისა და ალგეთის ხეობებით გაჭრილი რელიეფი ქმნის განსხვავებულ მიკროკლიმატურ პირობებს, რის გამოც მცირე სივრცეში ერთმანეთისგან განსხვავებული ეკოსისტემებია ჩამოყალიბებული. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან ზონაში, ზღვის დონიდან დაახლოებით 1200 მეტრზე, მდებარეობს მანგლისი, რომელიც კლიმატურად მკვეთრად განსხვავდება რეგიონის დაბლობი ნაწილებისგან. აქ გავრცელებული მანგლისის ფიჭვნარი ქვემო ქართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიწვოვანი მასივია. სწორი განაშენიანება და ხეების მაღალი სიმჭიდროვე ხელს უწყობს ჰაერის კარგ ცირკულაციას და ქმნის განსაკუთრებულ, ჯანმრთელობისთვის ხელსაყრელ გარემოს. ფიჭვის კორომები გამოირჩევა ფიტონციდების გამოყოფის უნარით, რაც ჰაერს ბუნებრივად წმენდს და ტერიტორიას „ბუნებრივი ინჰალატორიუმის“ მნიშვნელობას ანიჭებს. მაისის ბოლოს, ფიჭვის დამტვერვის პერიოდში, ჰაერი განსაკუთრებით სუფთა და არომატულია. ნათელი ტყე, მზის სხივებით გამთბარი ნიადაგი და წიწვების რბილი საფარი მანგლისის ფიჭვნარს ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო და პოპულარულ დასასვენებელ ადგილად აქცევს.

2026 წლის მონაცემებით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულია 1 731 657 ჰა ფართობი. აქედან ქვემო ქართლის რეგიონი მოიცავს 146 666 ჰა-ს.

ინფორმაციის წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო



ბრუცელოზი - რისკები და პრევენცია

რა არის ბრუცელოზი

ბრუცელოზი ქრონიკულად მიმდინარე ზოონოზური დაავადებაა, რომლითაც მრავალი სახეობის ცხოველი (როგორც შინაური, ისე გარეული) და ასევე, ადამიანი ავადდება. განსაკუთრებით ამთვისებელია მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა და ღორი. ბრუცელოზი პროფესიულ დაავადებად მიიჩნევა და ძირითადად ვეტერინარებში გვხვდება. ასევე, ხშირად ვლინდება მონადირეებში, მწყემსებში, ფერმერებსა და ლაბორატორიების პერსონალში. ბრუცელოზით დაავადების რისკი არსებობს იმ ადამიანებისთვისაც, ვინც მოიხმარს თერმულად დაუმუშავებელ ცხოველურ სურსათს.

ინფიცირების წყაროები

დაავადება ვრცელდება ინფიცირებულ ცხოველთან კონტაქტით ან/და მისგან მიღებული სურსათის გზით. ბრუცელოზის ბაქტერია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გამოიყოფა დაავადებული ცხოველის მშობიარობის ან/და აბორტისას, (სანაყოფე სითხესა და გარსთან ერთად), ასევე, რძისა და შარდის საშუალებით.

ცხოველები ავადდებიან დაინფიცირებულ საკვებთან, წყალთან ან სხვა საგნებთან შეხებისას, ხოლო ადამიანები - დაავადებულ ცხოველთან კონტაქტით და თერმულად დაუმუშავებელი ცხოველური სურსათის მიღებით. ასევე, ცხოველის დაკვლის, მისი ტან-ხორცის, ტყავის და მატყლის დამუშავების დროს.

მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნება ის პერსონალი, რომელიც დაავადებულ ცხოველს სამეანო დახმარებას უწევს.

დაავადების გამოვლენა/სიმპტომები

დაავადება ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან ვლინდება აბორტებით, მასტიტებითა და უნაყოფობით.

ბრუცელოზი საწყის ეტაპზე ადამიანებშიც სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს. ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა ერთი კვირიდან ერთ თვემდე პერიოდს მოიცავს. დაავადების გამოვლენისას, პაციენტებს აღენიშნებათ: ცხელება, კუნთებისა და თავის ტკივილი, ოფლიანობა, წონის კლება, უძილობა, დეპრესია...

დიაგნოსტიკა

ბრუცელოზის დასადგენად აუცილებელია სისხლის სინჯების, ხოლო, აბორტის შემთხვევაში - ნაყოფისა და სანაყოფე გარსის ლაბორატორიული კვლევა.

დაავადებული ცხოველი მკურნალობას არ ექვემდებარება, ის უნდა დაიკლას სასაკლაოზე, შესაბამისი ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ.

უსაფრთხოების წესები/პრევენცია

დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში, არ შეეხოთ ცხოველს შიშველი ხელებით, არ დამარხოთ თვითნებურად, არ გადააგდოთ აბორტირებული ნაყოფი და აუცილებლად მიმართეთ ვეტერინარ ექიმს.

ბრუცელოზის გამომწვევი ბაქტერია კვდება რძის ადუღებისას. (60 გრადუსზე კვდება 30 წუთში). ის შედარებით დიდი ხნით ნარჩუნდება ყველში.

ინფიცირების თავიდან ასაცილებლად

- არ მიიღოთ არაპასტერიზებული რძე და რძის პროდუქტები;
- რეპროდუქციულ ქსოვილთან შეხებისას, ცხოველის მოვლისას, სამეანო დახმარებისა და ხორცის დამუშავებისას, გამოიყენეთ ხელთათმანი, დამცავი ტანსაცმელი, ნიღაბი;
- დროულად ჩაუტარეთ თქვენს შინაურ ცხოველს გამოკვლევები და ვაქცინაცია;
- საეჭვო სიმპტომების აღმოჩენისას, მიმართეთ ვეტერინარ ექიმს, რომელიც აიღებს სინჯებს ლაბორატორიული კვლევისთვის;
- განაცალკევეთ დაავადებაზე საეჭვო ცხოველი სხვებისგან და უზრუნველყავით მისი დაკვლა ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ;

სახელმწიფო კონტროლი

სურსათის ეროვნული სააგენტო, დაავადების პრევენციისა და კონტროლის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, აქტიურად ახორციელებს:

- მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველთა ვაქცინაციას;
- საეჭვო ცხოველების სეროლოგიურ კვლევას;
- დადებითად მორეაგირე პირუტყვის შესაბამისი წესით დაკვლაზე (სასაკლაოზე) ზედამხედველობას.

ინფორმაციის წყარო: სურსათის ეროვნული სააგენტო

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა

კახეთის აგრარული განვითარების საყრდენი

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული ობიექტია. მისი შექმნა დაკავშირებულია გასული საუკუნის 50-60-იან წლებში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებთან, რომელთა მიზანი კახეთის გვალვიანი ზონის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულფასოვანი ათვისება იყო.

სარწყავი სისტემა სამგორის საირიგაციო კომპლექსის ნაწილია და იორის აუზის წყლის რესურსების გამოყენებას ეფუძნება. მთავარი წყალმიმღები ნაგებობა აგებულია სწორედ მდინარე იორზე, რომელიც სიონის წყალსაცავიდან ჩაშვებულ წყალს სათავე ნაგებობის მეშვეობით იღებს.

მაგისტრალური არხებისა და მათთან დაკავშირებული გამანაწილებელი ქსელის მშენებლობამ შესაძლებელი გახადა მდინარე იორის აუზში მარჯვენა და მარცხენა მხარეზე მდებარე საგარეჯოს ვაკის სარწყავი მასივების, აგრეთვე გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების სავარგულების ნაწილის მორწყვა, რამაც ხელი შეუწყო მევენახეობის, მემარცვლეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებას.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა დაიწყო 1961 წელს და 1975 წელს დასრულდა. ამ მშენებლობის შედეგად, შესაძლებელი გახდა 32 000 ჰექტარი ფართობის მორწყვა. მათ შორის 6370 ჰექტარზე მორწყვა განხორციელდა მექანიკური აწევით, რისთვისაც მოეწყო 10 სატუმბი სადგური. გარდა ამისა, გაყვანილ იქნა 130 კმ. სიგრძის მაგისტრალური არხები, 980 კილომეტრზე კი - გამანაწილებელი ქსელი. მაგისტრალური არხები მონოლითური ბეტონითა და რკინაბეტონის ფილებით იყო მოპირკეთებული.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ფარგლებში მრავლადაა ისეთი ფართობები, რომლებზედაც ინტენსიური რწყვის შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონოდა გრუნტის წყლების დონის დაუშვებელ აწევას. ასეთი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, სისტემის ქვეშ არსებულ მნიშვნელოვან ფართობზე მოეწყო სადრენაჟო ქსელი.

წლების განმავლობაში აღნიშნული სისტემა ათასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწას ემსახურებოდა, თუმცა 1990-იანი წლებიდან ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ამორტიზდა. არხების დაზიანებამ, ნატანის დაგროვებამ და ჰიდროტექნიკური ნაგებობების გაუმართაობამ სისტემის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შეამცირა.

ბოლო წლებში შპს „საქართველოს მელიორაცია“ ეტაპობრივად ახორციელებს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას - მაგისტრალური არხების, წყალგამანაწილებლებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენასა და მოდერნიზაციას, რაც მაქსიმალურად ამცირებს წყლის დანაკარგს, ზრდის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას და აგროსექტორის კონკურენტუნარიანობას.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს მელიორაცია

ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი სარეველა მცენარეები

უძველესი დროიდან პირველყოფილი ადამიანი საკვებად იყენებდა ველურ მცენარეებს (ფოთლებს, თესლებს, წვნიან ღეროებს, ტკბილ ფესვებს). მომთაბარე ცხოვრების დროს ისინი იკვებებოდნენ იმ მცენარეებით, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდა (თათაბო, ჯიჯლაყა, მდოგვი, ჭინჭარი და სხვა), დროთა განმავლობაში დაიწყეს მოძიება და შეგროვება მცენარეებისა, რომელთა გემური თვისებები მათთვის მისაღები იყო. სარეველა მცენარეები შეიცავენ ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებსა და მიკროელემენტებს (E, C, P, PP, Fe, Ca, K, Mg, B1, B2, B6 და სხვ.), ისინი საკვებად ვარგისია მათი შეგროვებიდან 2-3 საათის განმავლობაში, ან უკიდურეს შემთხვევაში იმავე დღეს. გამოიყენება ბოსტნეულთან და თევზეულთან, ხორციან კერძებში... წარმოგიდგენთ იმ სარეველა მცენარეების ჩამონათვალს, რომელიც ადამიანის საკვებად დღესაც გამოიყენება და სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.



მჟაუნა - RUMEX ACETOSA L.

მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა წიწიბურასებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, მოკლე, დატოტვილი; ღერო - სწორი, 1 მ-მდე; ფოთლები - წვნიანი, ლანცეტისებური; ყვავილი - წვრილი, ვარდისფერი ან წითელი, ყვავილობს მაის-ივნისში; ნაყოფი - მუქი ყავისფერი კოლოფი, თესლები სამწახნაგოვანი, მოშავო-ყავისფერი, 1.7 მმ. გამოიყენება კულინარიაში სუპის და ფხალეულის დასამზადებლად.

ჩვეულებრივი ღოლო - RUMEX CRISPUS L.

ბალახოვანი, ფესურიანი, მრავალწლიანი მცენარეა წიწიბურასებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, გრძელი, ყავისფერი; ღერო - სწორმდგომი, 50 - 120 სმ სიმაღლის, შეუბუსავი, მოწითალო ფერის; ფოთლები - მოპირდაპირედ განლაგებული, ლანცეტისებური, 15 - 20 სმ სიგრძის, ქვედა ფოთლები - გულისებრი; ყვავილები - პატარა, მოწითალო ან მომწვანო, ყვავილობს ივნის - ივლისში; ნაყოფი - სამწახნაგიანი კაკლუჭა, მოწითალო - ყავისფერი, მბზინავი, სიგრძე - 2 - 3 მმ, სიგანე - 1.5 - 2 მმ. გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ოროვანდი - ARCTIUM LAPPA L.

ორწლიანი ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, ხორცოვანი, 60 სმ-მდე; ღერო - სწორმდგომი, 60 - 180 სმ სიმაღლის; ფოთლები - დიდი, გულისებური, მორიგეობითი, მარტივი, ყუნწიანი; ყვავილედი - კალათა, ყვავილები მილისებური, იასამნისფერი, ყვავილობს ივლის - აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო - სექტემბერში; თესლურა - მოგრძო, დაღარული, შიშველი, მოკლე ქოჩრით, ჭიპი მრგვალი, ყავისფერი, სიგრძე 4 - 6 მმ, სიგანე 2 - 2.5 მმ. კულინარიაში გამოიყენება ფესვები და ღერო, ხშირად კარტოფილთან ერთად ამზადებენ.

ინფორმაციის წყარო: სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

რატომ არ უნდა მოვკრიფოთ მცენარეები ეროვნულ პარკებში?

საქართველო ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა. ჩვენი დაცული ტერიტორიები უნიკალური მცენარეული სამყაროს სახლია - აქ გვხვდება როგორც უძველესი ტყეები, ისე იშვიათი, ენდემური და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები. ხშირად ვიზიტორებს სურთ ბუნების პატარა ნაწილი თან წაიღონ - ღამაზი ყვავილი, მცენარის ტოტი, თუმცა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ქმედებამ შესაძლოა ეკოსისტემაზე გავლენა მოახდინოს.

ერთი მცენარეც მნიშვნელოვანია ეკოსისტემისთვის

ყველა მცენარეს ბუნებაში თავისი როლი აქვს. ისინი ქმნიან საცხოვრებელ გარემოს სხვადასხვა სახეობის ცხოველებისა და მწერებისთვის, მონაწილეობენ ნიადაგის დაცვაში, წყლის ციკლისა და ეკოსისტემის ბალანსის შენარჩუნებაში. ერთი ყვავილის მოწყვეტაც კი ნიშნავს, რომ მცენარე ვეღარ გააგრძელებს ბუნებრივ ციკლს - ვერ წარმოქმნის თესლს და ვერ გამრავლდება.

მცენარეები ბუნების ნაწილია

ეროვნულ პარკში ნანახი ყვავილი, ფოთოლი ან ტოტი უმჯობესია ფოტოს სახით შეინახოთ. ბუნებაში დატოვებული მცენარე მომავალ ვიზიტორებსაც მისცემს შესაძლებლობას, დატკბნენ მისი სილამაზით.

დაცულ ტერიტორიებზე ბევრი იშვიათი სახეობა გვხვდება

საქართველოს ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიები მრავალი უნიკალური მცენარის თავშესაფარია. ზოგიერთი სახეობა მხოლოდ კონკრეტულ რეგიონში ან მცირე ტერიტორიაზე გვხვდება და მათი რაოდენობა შეზღუდულია. სწორედ ამიტომ, თითოეული მცენარის შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

როგორ მოვიქცეთ ბუნებაში?

ეროვნულ პარკებში სტუმრობისას:

- არ მოწყვიტოთ ყვავილები და მცენარეები;
- არ დააზიანოთ ხეები და ბუჩქები;
- არ ამოთხაროთ მცენარეები ფესვიანად;
- იმოძრავეთ მონიშნულ ბილიკებზე.

ბუნების დაცვა იწყება პატარა ნაბიჯებით. როდესაც თითოეული ვიზიტორი უფრთხილდება მცენარეებს, ჩვენ ერთად ვინარჩუნებთ საქართველოს უნიკალურ ბუნებრივ მემკვიდრეობას. ეროვნული პარკები სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ეს საოცარი ეკოსისტემები დღესაც და მომავალშიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ინფორმაციის წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნოთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს



ბიომრავალფეროვნება

ფასკუნჯი (NEOPHRON PERCNOPTERUS)

ფრინველი ქორისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 60–70 სმ, ფრთების შლილი 155–180 სმ, მასა 1,6–2,2 კგ. ზრდასრული ფრინველი თეთრია, აქვს შავი მომქნევი ბუმბულები, რომლებიც მკვეთრადაა გამიჯნული ფრთის დანარჩენი ნაწილისაგან, გრძელი და ვიწრო ნისკარტი, რომბისებური კუდი. სახე შეფერილია ყვითლად და შეუბუმბლავია. ნისკარტი მოყვითალოა, მუქი წვერით. ფრთები ვიწრო. ფეხები სუსტი, მოვარდისფრო. თვალის ფერადი გარსი მუქი. ნესტოები განლაგებულია გრძივად. კეფასა და კისერზე გაბურძგნული ბუმბული აქვს. ახალგაზრდა ფრინველი მოყავისფრო-მორუხოა ღია ფერის სახითა და ნისკარტით. ზრდასრული შეფერილობას დაახლოებით 5 წელში იღებს. ფრენის დროს სხეულის კონტურით ბატკანძერს წააგავს, თუმცა, მისგან განსხვავებით, უფრო მოკლე კუდი და შედარებით მოკლე, ნაკლებად წვეტიანი ფრთები აქვს. ფრენს ლივლივით, იშვიათად ფრთების ქნევით. ხმა - წკრიალა რაკრაკი. გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ და შუა აზიაში, ინდოეთში; საქართველოში გადამფრენი და მობუდარია. მთებში ადის ზღვის დონიდან 4500 მეტრამდე. ზამთარში ზომიერი განედებიდან მიგრირებს ტროპიკებში. ბინადრობს სტეპის ლანდშაფტის მთებსა და მთისწინეთებში. ცხოვრობს მარტო ან ჯგუფებში. უმთავრესად იკვებება მძორით, შეუძლია ძვლების, მყესების, ჩლიქების, ტყავის გამხმარი ნაფლეთების ჭამა, იჭერს ქვეწარმავლებსაც. სამხრეთ რაიონებში ეტანება დასახლებებს. ხშირად იკრიბება დიდ გუნდებად. ბუდობს კლდოვან ნიშებსა და ხელოვნურ გამოქვაბულებში, მიტოვებულ შენობებში, იშვიათად ხეებზე. ზოგჯერ ჰქმნიან რამდენიმე ათეული მობუდარი წყვილისაგან შემდგარ კოლონიებს. აპრილში – მაისის დასაწყისში დებს 2 მოყვითალო-თეთრ კვერცხს მურა-წითელი ლაქებით. კრუხობს ორივე მშობელი 40 დღის განმავლობაში. ბარტყების გამოკვება 85 დღე გრძელდება. სრულწლოვანებას მე-4–5 წელს აღწევენ, ცოცხლობენ 37 წლამდე. არეალის დიდ ნაწილში ჩვეული ფრინველია. ევროპასა და საქართველოში იშვიათია, შეტანილია IUCN-ისა და საქართველოს წითელ ნუსხებში.

ბატკანძერი, კრავიჭამია (GYPAETUS BARBATUS)

მტაცებელი ფრინველი ქორისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 100–115 სმ, ფრთების შლილი 245–272 სმ, მასა 5–7 კგ. აქვს გრძელი და ვიწრო ფრთები, რომბისებური ან სოლისებრი კუდი. თავი და მუცლის მხარე მოყვითალო ან მოთეთროა, თუმცა იმის გამო, რომ ხშირად იღებება წითელი ფერის თიხებში, ეს ადგილები მონარინჯისფრო უხდება. ტანი და ფრთები მოშავოა, ზემოდან მონაცრისფრო ელფერით. ნისკარტი და ფეხები რუხი. გალო თითებამდეა შებუმბვლილი. ნისკარტის ორივე მხარეს ჩამოშვერილია ჯაგრისებრი ბუმბულის ორი კონა „წვერი“. ერთი წლის ფრინველის კისერი და თავი შავია. ზრდასრულის შეფერილობას 5 წლის ასაკში ღებულობს. ხმა დაბალი სტვენა და თავისებური კნავილი. გავრცელებულია ევროპის, წინა და ცენტრალური აზიისა და აფრიკის მთებში, იშვიათად დაბლობშიც ჩამოდის. საქართველოში გვხვდება სვანეთში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მთათუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, ლაგოდეხის ნაკრძალში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში (4800 მეტრამდე ზღვის დონიდან). მაღალმთის ბინადარია, თავს აფარებს კლდოვან ნაპრალებს, სუბალპური და ალპური სარტყლების ღია, ქვიან ან კლდიან ადგილებს. მკვიდრი ფრინველია. საკვები რაციონის ძირითად ნაწილს დაღუპული ცხოველების ლეში წარმოადგენს, ზოგჯერ წვრილი ცხოველებითაც იკვებება (მაგ., ვირზაზუნა).საკბილოს მაღლა ფრენის დროს აკვირდება. შეუძლია დიდი ძვლებისა და კუს ბაკნის დამტვრევაც, ამისათვის მას დიდი სიმაღლიდან ძირს ახეთქებს. ენის განსაკუთრებული აგებულება საშუალებას აძლევს ლულოვანი ძვლიდან მოიპოვოს ძვლის ტვინი.თანამედროვე დროში ზამთრის პირობებში მისი საკვები ბაზა გაუარესდა. გამრავლების ციკლი მეტად თავისებურია: შეწყვილება ნოემბერში იწყება და თებერვლამდე გრძელდება. ბუდობს კლდეებში; ბუდე წარმოადგენს ტოტების გროვას, სადაც ხანდახან ძვლებიცაა შერეული და დაფარულია ბალახით და ხავსით. დეკემბერში ან თებერვალ-მარტში დებს 2 (იშვიათად 1) მოთეთრო კვერცხს, ყავისფერი ლაქებითა და წინწკლებით. ინკუბაცია 55–60 დღე-ღამე გრძელდება. მართვეები იჩეკებიან თებერვლის ბოლოს – მარტის დასაწყისში, რომელთაგან უმცროსს გამოჩეკიდან რამდენიმე დღეში მშობლები კლავენ და ჭამენ. ბუნებრივ კონკურენტებს შესაძლოა მიეკუთვნებოდეს ორბი, სვავი, ყაჯირი, მთის არწივი. ჰყავთ მსოფლიოს სხვადასხვა ზოოპარკში, მათ შორის, 1976 წელს 2 ბატკანძერი ჰყავდათ თბილისის ზოოპარკშიც. დაფიქსირებულია ტყვეობაში გამრავლების ფაქტიც (1 მართვე, 1973, ალმა-ათის ზოოპარკი).შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

ინფორმაციის წყარო: ველური ბუნების ეროვნული სააგენტო